დამტკიცებულია :

კოლეჯი შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის მიერ

2020 წლის 20 თებერვლის N 01-05 ბრძანებით



შპს ცხუმ-ეგრისი

სტრატეგიული დაგეგმარების ,მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია

ზუგდიდი 2020

ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის და დირექტორის მონაწილეობით. ცვლილება მტკიცდება დირექტორის მიერ ბრძანებით.

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი

მუხლი 1. პროცესის ზოგადი მიმოხილვა/პოლიტიკა

1. სტრატეგიული დაგეგმვის მიზანია ორგანიზაციის განვითარების მიმართულებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა დროის განგრძობად ჭრილში, მის ხელთ არსებული რესურსების, გარემო პირობებისა და მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით.
2. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან;
კოლეჯის საქმიანობის დაგეგმვა იწყება მისი მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბებით, სადაც განსაზღვრულ უნდა იქნას კოლეჯის წარმატება ხანგრძლივ პერსპექტივაში და მიდგომები როგორ ხდება მისი მიღწევა.

მისია - არის კოლეჯის განაცხადი იმის თაობაზე, თუ რა მიდგომით აპირებს ის სასურველი სამომავლო სურათის/ხედვის მიღწევას. მისია უნდა იყოს მოკლე, გასაგები, მამოტივირებელი, ორგანიზაციული ღირებულებების ამსახველი და საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე ორიენტირებული.

ხედვა - არის ის სასურველი სამომავლო მდგომარეობა, რომელსაც უნდა მიაღწიოს კოლეჯმა გარკვეული დროის შემდეგ.

ღირებულებები - ღირებულებებში გაზიარებული უნდა იქნას ის ძირითადი პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც გეგმავს კოლეჯი მისიაში გაცხადებული მიზნების მიღწევას.სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია კოლეჯში არსებული მდგომარეობის, ასევე გარემო პირობებისა და გარემომცველი ფაქტორების გათვალისწინება: არსებული გარემოსა და გარემომცველი ფაქტორების იდენტიფიცირება და შეფასება, რომელიც გავლენას ახდენს კოლეჯზე. იმის გამო, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ცვლილებები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია გარე ფაქტორებით (მაგ.: დემოგრაფიული ტენდენცია, საგანმანათლებლო პოლიტიკა, პროფესიათა მოთხოვნების ცვლილება, პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილება), ამ ფაქტორების გათვალისწინებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. ამრიგად, სტრატეგიული დაგეგმვისას აუცილებელია როგორც შიდა, ასევე გარემომცველი პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და ტექნოლოგიური ტენდენციებისა და ფაქტორების შესწავლა და გათვალისწინება, რომლებიც შეიძლება კოლეჯისთვის წარმოადგენდნენ საფრთხეს ან პირიქით - ახალ შესაძლებლობას.

3. სტრატეგიული დაგეგმვის პერიოდი მოიცავს 7 წლიან პერიოდს.
4. სტრატეგიული დაგეგმვა დინამიკური პროცესია - იმის გამო, რომ გარე ფაქტორები და სწრაფად და მუდმივად იცვლება და ხშირად შეუძლებელია სამომავლო ზუსტი პროგნოზების გაკეთება, რომელიც თავისთავად გულისხმობს გეგმის ადაპტირებას საჭიროების მიხედვით. სწორედ ამ მიზეზის გამო კოლეჯი პერიოდულად განიხილავს სტრატეგიულ გეგმას და საჭიროების შემთხვევაში მასში სათანადო ცვლილებები შეაქვს.
5. სტრატეგიული დაგეგმვისას ასევე გასათვალისწინებელია კონკურენტული გარემო: სტრატეგიული დაგეგმვა მიზნად ისახავს გარკვეული ნიშის დაკავებას, როგორც მთლიანად სასწავლო დაწესებულების, ასევე მისი ცალკეული პროგრამების მიერ. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში კოლეჯი ცდილობს განასხვავოს თავისი თავი კონკურენტებისგან ისე, რომ მისი გამოცდილება, მეთოდოლოგია და პროგრამები აღიარებული იქნას კონკურენტუნარიანად.
6. ეფექტური დაგეგმვისათვის ასევე აუცილებელია რესურსებით უზრუნველყოფა. იმისათვის, რომ სტრატეგიული გეგმა იყოს ქმედითი, აუცილებელია ის ინტეგრირებული იყოს კოლეჯის ბიუჯეტთან, ისე, რომ რესურსების გამოყოფა და განკარგვა ზუსტად შეესაბამებოდეს სამოქმედო ღონისძიებების პრიორიტეტულობას. სწორედ ასეთი დამოკიდებულება აძლევს კოლეჯს დასახული გეგმის შესრულებისა და მიზნების მიღწევის საშუალებას.
7. დაგეგმვის პროცესის ეფექტურობისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ყველა იერარქიული საფეხურისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

მუხლი 2. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი

1. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი შეიძლება დაიყოს ორ საფეხურად:
1.1. მიზნების, ამოცანებისა და განსახორციელებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
1.2. დადგენილი ღონისძიებების შესრულების მონიტორინგი, პროგრესზე დაკვირვება და გეგმის კორექტირება.
2. პირველადი დაგეგმვის პროცესში კრიტიკული მნიშვნელობა აქვს საფუძვლიანი სვოტ ანალიზის ჩატარებას, რის შედეგადაც გამოიკვეთება შესაბამისი მიზნები და ამოცანები.
3. გეგმის განხორციელებამდე და მისი ეფექტურობის შეფასებამდე აუცილებელია მისი შექმნა. კოლეჯი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მიმართავს თანაშემოქმედებითი (კოლაბორაციული) დაგეგმვის მეთოდს, რომელიც მიმართულია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობისა და მათი ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებისაკენ.
4.კოლეჯის კოლაბორაციული სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი შეიძლება დაიყოს 5. ფაზად:

4.1. ორგანიზების ფაზა ;
4.2. მონაცემთა შეგროვების ფაზა ;
4.3. ანალიზის ფაზა;
4.4. ხედვის ჩამოყალიბების ფაზა;
4.5. მიზნების ჩამოყალიბების ფაზა.

5. ბოლოს სამი საფეხური (ანალიზის, ხედვისა და მიზნების ჩამოყალიბების ფაზა) წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის ფორმირების ეტაპებს და შესაძლებელია მათი ერთად დაჯგუფება.

მუხლი 3. ორგანიზების ფაზა

1.ორგანიზების ფაზა შეიძლება განხილულ იქნას როგორც „გეგმის დაგეგმვის“ ეტაპი. ამ ეტაპზე ხდება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართულ პირთა (სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი) ვინაობა, მათი უფლებამოსილებით აღჭურვა და ფუნქციების გადანაწილება.

2.სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის/სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობა

დგინდება დირექტორის ბრძანებით, რომლითაც ასევე განისაზღვრება მუშაობის ფორმატი და სიხშირე

. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს სამუშაო შეკრებებზე.ჯგუფის მუშაობა

იწყება მონაცემთა შეგროვების ფაზით, იდენტიფიცირებულია ასევე დაგეგმვის ფაზები.

3. სასურველია არსებობდნენ სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის მუდმივმოქმედი წევრები, რაც უმნიშვნელოვანესია ჯგუფის ეფექტური ფუნქციონირებისათვის, რადგან ისინი მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ თვითონ დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესებასა და სრულყოფაში და გარდა უშუალოდ დაგეგმვისა, ისინი ჩართული იქნებიან გეგმის განხორციელებისა და შეფასების პროცესშიც. გარდა ამისა, წინა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ეხმარება მუდმივმოქმედ წევრებს ადრე დაშვებული შეცდომების განმეორების თავიდან აცილებაში.

მუხლი 4. მონაცემთა შეგროვების ფაზა

1.კოლეჯში არსებული მდგომარეობის, გარემოსა და გარემომცველი ფაქტორების შესწავლისას საჭიროა ინფორმაციის ფართო სპექტრის გაანალიზება. თვითანალიზის (ინტროსპექციის) ერთ-ერთი მეთოდი, რომელსაც დაგეგმვის ჯგუფი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მიმართავს, ცნობილია SWOT ანალიზის სახელწოდებით (ძლიერი და სუსტი მხარეების, საფრთხეებისა და შესაძლებლობების შეფასება). ასეთი ანალიზის დროს ჯგუფი აფასებს კოლეჯის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ასევე შესაძლებლობებსა და საფრთხეებს. SWOT ანალიზის დროს ყურადღება ექცევა დაწესებულების გარე ფაქტორებს (ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, პოლიტიკური და ტექნოლოგიური ფაქტორები). ამ ინფორმაციის ანალიზი და სინთეზი ჯგუფსსაშუალებას აძლებს შეაფასოს კოლეჯის ამჟამინდელი მდგომარეობა და ასევე ეხმარება გასაუმჯობესებელი ასპექტების გამოვლენაში.

მუხლი 5. ანალიზის ფაზა

SWOT ანალიზი

1. სტრატეგიული გეგმა მოიცავს შიდა და გარე ფაქტორების ანალიზს (ხორციელდება SWOT ანალიზის მეთოდოლოგიით). SWOT ანალიზი წარმოადგენს სტრატეგიული ანალიზის მეთოდს, რომელიც შედგება ორი ელემენტისგან: გარე ფაქტორების (საფრთხეებისა და შესაძლებლობების) ანალიზი და შიდა ფაქტორების (ძლიერი და სუსტი მხარეების) ანალიზი.

შესაძლებლობები და საფრთხეები

1. გარე ანალიზი ყურადღებას ამახვილებს კოლეჯის გარე ფაქტორებზე და იმ საფრთხეებსა თუ შესაძლებლობებზე, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას.

2. **შესაძლებლობა** არის ისეთი გარე ფაქტორი, რომელმაც შეიძლება კოლეჯს სარგებელი მოუტანოს, მაგ.: რეგიონის ინტერნაციონალიზაცია, შეთავაზებულ პროგრამებზე მოთხოვნის ზრდა, უცხო ქვეყნის მოწინავე კოლეჯებთან თანამშრომლობა.

3. **საფრთხე** არის გარე ფაქტორი, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს კოლეჯის ამჟამინდელ მდგომარეობას. მაგ.: კოლეჯის მიერ შეთავაზებულ პროგრამებზე მოთხოვნის შემცირება, მოზიდული ფინანსური რესურსების შემცირება. ზოგიერთ შემთხვევაში გარე ფაქტორი შეიძლება შეფასებული იქნას როგორც საფრთხედ, ასევე შესაძლებლობად, მაგალითად - საგანმანათლებლო რეფორმა, საგანმანათლებლო პოლიტიკის ცვლილება შესაძლოა განხილულ იქნას როგორც საფრთხედ, ასევე - შესაძლებლობად.

4. გარე ფაქტორების შეფასებისას აუცილებლად უნდა დაისვას კითხვა: რა გარე ფაქტორებმა მოახდინა გავლენა კოლეჯზე და რამ შეიძლება იმოქმედოს მასზე სამომავლოდ? ეს შეკითხვა დაეხმარება კოლეჯს გაიხსენოს ან ივარაუდოს ის მნიშვნელოვანი გარემომცველი ფაქტორები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი იქნება სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას. ის ფაქტორები, რომლებმაც წარსულში იმოქმედა კოლეჯზე, უკვე იდენტიფიცირებულია. სამომავლო ფაქტორები კი, რასაკვირველია, მხოლოდ სპეკულაციური და სავარაუდოა. ზოგიერთ მათგანთან დაკავშირებით შესაძლებელია გონივრული პროგნოზის გაკეთება (მაგალითად, დემოგრაფიული ფაქტორები), ზოგიერთზე კი მხოლოდ ვარაუდია შესაძლებელი (მაგალითად, ინტერნეტის გავლენა

ბაზრის ანალიზი

1. გარე ფაქტორებისას ასევე უნდა გაანალიზდეს კოლეჯის საბაზრო მდგომარეობა. კოლეჯი მოქმედებს ორ ცნობილ ბაზარზე: სტუდენტების და პერსონალის. ორივე ბაზარს გააჩნია პროდუქციისა და მომსახურების სავაჭრო ბაზრის ყველა თვისება და ექვემდებარება

ანალოგიურ ანალიზს. ორივე ბაზარს გააჩნია მოთხოვნისა და მიწოდების თვისება, ასევე საბაზრო ფასი და მასზე გავლენას ახდენს ინფორმაცია, საზოგადოებრივი აზრი და იმიჯი.

კონკურენტების ანალიზი

1. კოლეჯს, როგორც სტუდენტების, ასევე პერსონალის მიმართულებით არაერთი კონკურენტი ჰყავს როგორც ადგილობრივ(ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), ასევე საქართველოს ბაზარზე. ძირითადი კონკურენტების იდენტიფიცირება და მათი უპირატესობების ანალიზი უძვირფასეს ინფორმაციას იძლევა სამომავლო ხედვის, მიზნებისა და სტრატეგიის ჩამოყალიბებისთვის.

ძლიერი და სუსტი მხარეები

1. შიდა ანალიზის დროს ჯგუფი განიხილავს კოლეჯის ძლიერ და სუსტ მხარეებს. ძლიერ მხარედ ითვლება ის, რასაც კოლეჯი კარგად ართმევს თავს ან უპირატესობას ანიჭებს თავისი საქმიანობის განხორციელებისას. მაგ.: კურსდამთავრებულთა დასაქმება, ხელსაყრელი მდებარეობა, სტუდენტთა მზარდი რაოდენობა. სუსტ მხარეთ ითვლება ის ფაქტორი, რასაც კოლეჯი რთულად უმკლავდება და დაბრკოლებას უქმნის საქმიანობის განხორციელებისას, მაგ.: ფინანსური რესურსების სიმცირე, კოორდინირებული მუშაობის ნაკლებობა.

რესურსები

1. ძლიერი და სუსტი მხარეების განხილვა მოიცავს რესურსების ადეკვატურობის/შესაბამისობის შეფასებას რაოდენობრივ, ხარისხობრივ და ხელმისაწვდომობის ჭრილში. რესურსების შესაბამისობა ნიშნავს იმას, რომ არსებული რესურსები საკმარისია კოლეჯის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად და გარე გამოწვევებთან გასამკლავებლად. რესურსები შეიძლება იყოს ფიზიკური - შენობა-ნაგებობები, საინფორმაციო - მონაცემების ხელმისაწვდომობა; ადამიანური - პერსონალი, საკადრო რესურსი და მათი უნარები.

მუხლი 6. სტრატეგიული ხედვისა და მიზნების შემუშავების ფაზა

1. შიდა და გარე ფაქტორების ანალიზის შედეგად ჯგუფი ჩამოაყალიბებს ხედვას და დასახავს სტრატეგიულ მიზნებს. სტრატეგიული მიზანი არის კოლეჯის მიერ დასახული მიზანი, თუ რისი მიღწევა სურს მას მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში. სტრატეგიული მიზნების შემუშავება ხორციელდება სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით.

2. სტრატეგიული მიმართულებები შეიძლება მოიცავდეს:

2.1. მასშტაბი - გვსურს გაფართოება, ამჟამინდელი მასშტაბის შენარჩუნება, შემცირება?

2.2. საქმიანობის მიმართულება(პროფესიული პროგრამები) - საქმიანობის(პროგრამების) რომელ მიმართულებას უნდა დაეთმოს მეტი/ნაკლები ყურადღება? საჭიროა თუ არა საქმიანობის ახალი მიმართულების განვითარება;

2.3. გეოგრაფიული არეალი - გეოგრაფიული არეალის გაფართოება ან შენარჩუნება;
2.4. სამიზნე ჯგუფი - ახალი სამიზნე ჯგუფების მოზიდვა ან არსებულის შენარჩუნება;
2.5. პარტნიორები - ახალი პარტნიორების მოზიდვა ან არსებულის შენარჩუნება.

3. სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრის შემდეგ ჯგუფი თითოეული პრიორიტეტული მიმართულებისთვის შეიმუშავებს სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც უნდა იყოს რეალისტური, განხორციელებადი, შედეგზე ორიენტირებული, დროში განსაზღვრული.

თითოეული მათგანისთვის უნდა იყოს დადგენილი შესასრულებელი ქმედებები, ქმედებებზე პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსები.

მუხლი 7. **ბიუჯეტი და ფინანსური დაგეგმვა**

1. დაგეგმვის პროცესში ქმედებების ბიუჯეტთან მისადაგება გეგმის ეფექტური განხორციელების წინაპირობაა. სტრატეგიული გეგმა უშუალო კავშირშია კოლეჯის ბიუჯეტთან და ფინანსური დაგეგმვის პროცესთან. ერთის მხრივ, სტრატეგიული გეგმის მიზნები და ამოცანები უნდა ემყარებოდეს რეალისტურ ფინანსურ დაგეგმარებას, მეორეს მხრივ - სტრატეგიული გეგმა უნდა წარმოადგენდეს ფინანსური დაგეგმვის ამოსავალ წერტილს.

2. აუცილებელია, რომ დაგეგმვის პროცესში ჯგუფი ხელმძღვანელობდეს ფაქტობრივი ინფორმაციით კოლეჯის ფინანსური რესურსების თაობაზე. ასევე ითვალისწინებდეს იმ მოსალოდნელ ფინანსურ შედეგებს, რომელიც დაკავშირებულია კოლეჯის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებასთან. როცა სტრატეგიული გეგმა გადავა განხორციელების ფაზაზე, აუცილებელია თითოეული დასახული ღონისძიება უზრუნველყოფილი (საჭიროების შემთხვევაში) იყოს აუცილებელი ფინანსური რესურსებით. ფინანსური რესურსების არასაკმარისობის შემთხვევაში შესაძლებელია დასახული მიზნები

მუხლი 8. დანერგვა და მონიტორინგი

1. გეგმა უნდა პასუხობდეს შეკითხვას „როგორ მივხვდეთ, რომ მიზანი მიღწეულია?“ სტრატეგიული გეგმა უნდა მოიცავდეს განსახორციელებელ ღონისძიებებს თითოეული მიზნისთვის, სავარაუდო შედეგებს, ვადებს, მიღწევის კრიტერიუმებს და შეფასების მეთოდებს, საჭირო რესურსებს და პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს.

2. სტრატეგიული დაგეგმვა განგრძობითი პროცესია. სტრატეგიული გეგმა მოიცავს სამოქმედო ღონისძიებების მრავალწლიან გრაფიკს. გეგმის განხორციელებისთვის საჭიროა დადგენილი სტრატეგიული ინიციატივების სამოქმედო გეგმად გარდაქმნა 1 წლის მანძილზე განსახორციელებელი კონკრეტული ღონისძიებების მითითებით. გეგმის ეფექტურობისთვის სასურველია თავიდან იქნას აცილებული ოპტიმისტური გათვლები, 1 წლის მანძილზე განსახორციელებელი ღონისძიებების არარეალისტური შეფასება, 3-5-7 წლის მანძილზე განსახორციელებელი ღონისძიებების ნაჩქარევი განხორციელება.

3. წლის გეგმაში თავმოყრილი უნდა იყოს ყველაზე მაღალი პრიორიტეტის მქონე ამოცანები, მათი შესრულების/განხორციელების პრიორიტიზაცია. სიმარტივის, გავლენის მნიშვნელობისა და ხელმისაწვდომებიდან გამომდინარე.

4. სასურველია თითოეული ინიციატივის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის მითითება, განხორციელების ვადისა და შესრულების ინდიკატორების განსაზღვრა. გეგმის პირველადი პროექტი განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცემა კოლეჯის რექტორს.
5. გეგმის დამტკიცების შემდეგ ხდება მისი გავრცელება და კომუნიკაცია - ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირება. დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა ქვეყნდება კოლეჯის ვებგვერდზე-საჯაროდ. გარდა ამისა, გეგმის დამტკიცების შემდეგ ტარდება შიდა საინფორმაციო სემინარები, სადაც უშუალო შემსრულებლები ეცნობიან სამოქმედო გეგმას და იღებენ შესაბამის დავალებებს.

მონიტორინგი და განახლება

1. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის განუყოფელი ნაწილია პროგრესის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, გამოსასწორებელი ქმედებების განხორციელება.

2. მონიტორინგის მეთოდებია: თვითშეფასება და უკუკავშირი და შიდა აუდიტები(საჭიროების შემთხვევაში).

3. შიდა აუდიტები ხორციელდება კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წინასწარ შემუშავებული შიდა აუდიტების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. აუდიტის ფარგლებში მოწმდება სტრატეგიული გეგმის შესრულება - კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების სტატუსი.

4. შიდა აუდიტის მექანიზმის გარდა, კოლეჯი გეგმის შესრულების მონიტორინგისათვის იყენებს თვითშეფასების მექანიზმს. წლის ბოლოს(საჭიროების შემტხვევაში კვარტალურად) კეთდება შესაბამისი შემაჯამებელი ანგარიში/ანგარიშები

5. შემაჯამებელი ანგარიში მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

5.1.თუ რა დასახული ღონისძიებები განხორციელდა და რა მიზნები იქნა მიღწეული დაგეგმილი პერიოდის მანძილზე;

5.2.რა ღონისძიებების განხორციელება არ მოხდა ვადების დაცვით და რა იყო ხელისშემშლელი ფაქტორები;

5.3.როგორ ზეგავლენას იქონიებს ნაწილობრივ განხორციელებული ქმედებები დასახულ სამომავლო მიზნებსა და ამოცანებზე;

5.4.მომდევნო წლისთვის დასახული რომელი სტრატეგიული ინიციატივები და მიზნები უნდა იქნას გადახედილი (შეცვლილი).

6.შემაჯამებელი ანგარიშების საფუძველზე სტრატეგიულ გეგმაში შედის საჭირო კორექტირებები და ცვლილებები. კორექტირებული გეგმა ქვეყნდება კოლეჯის ვებგვერდზე. საჭიროების შემთხვევაში, განმეორებით ტარდება საინფორმაციო სემინარები.

7. კოლეჯის საქმიანობის შეფასება უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად საკითხებს:

7.1. რელევანტურობა: არის თუ არა კოლეჯის სტრატეგიული მიზნები და პრიორიტეტები

7.2. კვლავ რელევანტური არსებული მოთხოვნებისა და პრობლემებისადმი?

7.3. ეფექტურობა: რამდენად უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმა დასახული მიზნების მიღწევას? რა ხელშემწყობი და დამაბრკოლებელი ფაქტორები ახდენს გავლენას სასურველი შედეგის მიღწევაზე?

7.4. ეფექტიანობა: ხორციელდება თუ არა სტრატეგიული გეგმა დროულად და ხელსაყრელი ფორმით?

7.5. გავლენა: რა ცვლილებები გამოიწვია სტრატეგიული გეგმის განხორციელებამ?

7.6. სტრატეგიული გეგმა ასევე ექვემდებარება არაგეგმიურ განახლებას გარე ფაქტორების (მაგალითად: საგანმანათლებლო სტანდარტების) ცვლილების შემთხვევაში.